მანანა დარჩაშვილი*

ვაჟას კეშელავა თანამედროვე პოლიტიკის აქტუალურ საკითხების შესახებ

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, აქტუალობიდან გამომდინარე, საერთაშორისო პოლიტიკის არაერთი მკვლევარი დააფიქრა. ქართულ სინამდვილეში შეხვედრებსა თუ მედიაში განიხილებოდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებები, საერთაშორისო სამართლებრივი ინტერესის ეროვნულთან თანხვედრის ასპექტით.

ფილოსოფიის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი ვაჟა კეშელავა ათწლეულების მანძილზე პოლიტიკის მეცნიერების აქტუალური საკითხების კვლევით, საინტერესო მიგნებებით, წარმოდგენილი მეცნიერია. არ დარჩენილა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თემა, რომ არ განეხილა. ეს ბუნებრივიცაა, ის წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ნაშრომების შერჩევა განხილვისთვის, სასურველად მივიჩნიეთ ბოლოდროინდელი, აქტუალური პოლიტიკური მოვლენების ამსახველი თემატიკის მიხედვით, კერძოდ, როგორიცაა - „ხელისუფლება და ხელისუფლების განაწილების პრინციპი“, „ვარდების რევოლუცია - ინტრიგიდან ღია პოლიტიკამდე“, ადამიანის უფლებათა დაცვის და რუსეთ - საქართველოს ურთიერთობის თემატიკით წარმოდგენილი ნაშრომები. ეს ნაშრომები ძირითადად 1993-2004 წლებშია დაბეჭდილი ჟურნალებში: „პოლიტიკა“, „ეთნოპო-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ლიტიკა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წელიწდეულში და სხვა.

ნაშრომების განხილვა გვინდა დავიწყოთ სტატიით „ხელისუფლება და ხელისუფლების განაწილების პრინციპი“, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულს, საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენას, სოციალისტური სისტემის კრახს, სახელმწიფოს და ხელისუფლების დანაწილების საკითხს ეხება. ავტორი აღნიშნავს მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გიგანტური სახელმწიფოს (სსრკ) გაქრობის ფაქტს, თუ როგორ მოჰყვა არაერთი რეგიონული ომი, ეთნიკური კონფლიქტები და ტერორიზმის მსხვერპლთა რაოდენობის ზრდა. აღტაცება ცივი ომის დასრულების გამო, როგორ შეიცვალა თანდათან შეშფოთებით და აღნიშნული ფაქტის შემდეგ როგორ გახდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების, სავალუტო სპეკულაციების, სოციალური ქარიშხლების და სხვა სამოქალაქო უთანხმოებათა რისკის წინაშე, რომლის მოგვარება, როგორც განვლილი პრაქტიკიდან ჩანს, ძალზე უჭირთ მისი მოგვარების მცდელობით დაინტერესებულ მთელ რიგ ორგანიზაციებს.

ფაქტია, საბჭოეთის რღვევა გარდაუვალი იყო, მისთვის დამახასიათებელი უკვე უკიდურესად გასამხედროებული, ერთპარტიული პოლიტიკური ძალის მიერ მთელი ძალაუფლების ხელში აღების, დამორჩილებული საზოგადოების, „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ხასიათის კონსტრუქციის გამო. ავტორი ხაზს უსვავდა „აბსოლუტური ხელისუფლების“ სკკპ-ს გახრწნის, ძალაუფლებაზე მონოპოლიის და ტოტალიტარიზმის (ორი ნაირსახეობის გადატანის გამო - ნაციზმის და კომუნიზმის), გარდაუვლობის პროცესს, რომლის თავიდან აცილების საშუალებად ხელისუფლების გადანაწილება მიაჩნდა. ის მიჰყვებოდა ხელისუფლების დაყოფის პროცესის ცნობილ თეზას, პირველ შედეგად მისი სამი დამოუკიდებელი შტოს წარმოქმნას - საკანონმდებლოს, აღმასრულებლის და სასამართლოს, რომელთა დამოუკიდებლობის გარანტი კონსტიტუციაა.

მეორე, ასევე მნიშვნელოვან შედეგად მიაჩნდა ის, რომ ეს დამოუკიდებლობა პირობითი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ხელისუფლება, თავის სფეროში სავსებით კომპეტენტური და სუვერენული იყო გადაწყვეტილებათა გამოტანისას, ისინი, გარკვეულწილად ურთიერთდამოკიდებულნი და მათი ქმედება სინქრონული უნდა ყოფილიყო.

მესამე, რადგან არსებობდა დისბალანსის საშიშროება, ამ მიზნით, პრიორიტეტი არ უნდა მისცემოდა ხელისუფლების არც ერთ შტოს, მთელი ტრიადა ისე უნდა ყოფილიყო კოორდინირებული, რომ სისტემას მთლიანობაში არ დაეშვა გადახრები. ავტორი მთლიანად იზიარებდა დროის გამოცდით დადასტურებულ მონტესკიესეულ ხელისუფლების დაყოფის სიკეთეს, თუმცა მიუთითებდა იმასაც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა რესპუბლიკური მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა აირჩია. ის ამ საკითხზე ამახვილებდა ყურადრებას და თვლიდა, რომ საპრეზიდენტო ხელისუფლება, სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით უფრო ახლოს იყო ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობისათვის (მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცკ-ის პირველ მდივნის თანამდებობასთან და როგორც ქვეყნის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირი, უფრო გასაგები იყო მათთვის). ნგრევის, ეკონომიკური კრიზისის, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, ქაოსისა და ამასთან ერთად კრიმინალიზმის და დამნაშავეობის ზრდის პირობებში არავის მოუვიდოდა აზრად უპირატესობა პარლამენტსთვის მიეცა. საბჭოთა პარლამენტი - უმაღლეს საბჭო, ხომ ბუტაფორია იყო და ხშირად უკვე თანამედროვე პარლამენტთან პარალელით არაფრად აგდებენ მას.

პრეზიდენტის კვლავ მთავარ პოლიტიკურ ფიგურად დარჩენა ამტკიცებდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ხელისუფლების ცენტრის არსებობისადმი, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტთან იდენტიფიცირდებოდა.

ვფიქრობთ აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი წინასწარი გათვლა[1] (ნაშრომი 2000 წელს დაიბეჭდა), რომ საჭირო იყო პარლამენტის მიერ ნდობის მოპოვება და არა საზოგადოების თვალში საპრეზიდენტო ხელისუფლების სუსტ დანამატად ყოფნა. მას დემოკრატი პრეზიდენტის დაინტერესება მიაჩნდა საჭიროდ პარლამენტის გასაძლიერებლად. თუმცა, აცნობიერებდა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ჰარმონიულად, იდეალურად არ არის, როგორც ქაღალდზე და პოსტსაბჭოური სამყაროს ქვეყნებისათვის (გარდა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა), ძნელი წარმოსადგენი იყო ჭეშმარიტი თანასწოუფლებიანობა ხელისუფლების შტოთა შორის, დემოკრატიული ტრადიციებისა და სათანადო, ე.ი. დემოკრატიული მართვის კანონიერი საპროცედურო ჩვევების უქონლობის გამო.

მას ესმოდა მთელი ამ პროცესის თანხვედრი სისუსტეები, მაგრამ სიტუაციის დრამატიზება არ ახასიათებდა. პირიქით, სჯეროდა, რომ ქვეყნები, რომლებმაც დემოკრატიული არჩევანი გააკეთეს, მსოფლიო გამოცდილებით ხელმძღვანელობდნენ და შეეძლოთ წარმატება დემოკრატიული განვითარების ასპარეზზე, იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი სწრაფად ვერ მოგვარდებოდა, მოთმინება იყო საჭირო, რომ პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის რადიკალური რეფორმა არც რამდენიმე თვის და არც რამდენიმე წლის საქმე არ იყო, ის უთუოდ გაჭიანურდებოდა. ამ სისტემის ზოგიერთი ბლოკი შეიძლება უფრო ადრე დასრულებულიყო, ზოგიც კი მოგვიანებით.

აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიტიკისთვის 2003 წლის ნოემბერი მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან სწორედ ამ დროს ხალხის ნების მიხედვით, დემონსტრაციების მეშვეობით, მოხდა ხელი-

[1] კეშელავა, ვ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში. (გამოცდილება, პრაქტიკა, პრობლემები). ნარკვევების კრებული. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ., 2000, გვ. 90-104

სუფლების შეცვლა. ეს პროცესი „ვარდების რევოლუციის“ სახელით შემოინახა საქართველოს პოლიტიკის უახლესმა ისტორიამ, რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობაში აშკარა სიმპათია მოიპოვა და შესაბამისად, წლის ადამიანად მიხეილ სააკაშვილი გამოაცხადა.

ბ-ნი ვაჟა დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების პირველ ნაბიჯებს, იმავე პერიოდში ის არაერთხელ შეეხო ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მოსაზრებებს „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებით. კერძოდ, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენელი უშიშროების საბჭოს მდივანი ი. ივანოვი რუსულ მედიაში აცხადებდა, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოში და შემდეგ აჭარაში კონსტიტუციით არ მომხდარა, ეს ხავერდოვანი და ვარდების რევოლუცია კი არა, რომ ეს ხელისუფლების ძალდატანებით შეცვლა იყო და ამით „ქუჩის მეშვეობით“ დემოკრატიისთვის ბრძოლა გააკრიტიკა (რია "ნოვოსტი", 30.06.2004) ეს მიდგომა ბ-ნმა ვაჟამ საგულისხმო პასუხით გააქარწყლა. ის მხარს უჭერდა რა ამ პროცესს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხელისუფლების შეცვლას ნამდვილად შეიძლება დემოკრატიული ვუწოდოთ, თუ იგი ხდება მასის არნახული, უნაპირო თვითმოქმედებითა და ზეშთაგონებით, მასის, რომელმაც იგრძნო თავისუფლების გემო და ამოძრავდა, რომლის შეჩერება აღარ ძალუძდა არც ე.შევარდნაძეს, არც ა. აბაშიძეს. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ცოცხალი, საღი აზრის თუნდაც შეცდომა სჯობდა მკვდარ ჭეშმარიტებას.

ბ-ნი ვაჟას პოლიტიკური ნააზრევი მოიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე არაერთ ნაშრომს, სადაც ეს ურთიერთობები სხვადასხვა რაკურსით არის განხილული. ის ხაზს უსვამდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და რუსულ-ქართულ ურთიერთობებს შორის განსხვავებულობას.

მსჯელობა სასურველია დავიწყოთ მისი ნაშრომით „ფსკერზე“, სადაც რუსეთ-საქართველოს კრიზისზე მსჯელობა იწყება “საქართველოს წერილით“ ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოსადმი, რომელიც სტრასბურგში საქართველოდან 2007 წლის მარტის ბოლოს გაიგზავნა და რამდენიმე ასეულ გვერდიან დანართში მოყვანილია 2006 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა მასობრივი დევნისა და მათი რუსეთის ფედერაციის ფარგლებიდან დეპორტაციის მრავალრიცხოვანი ფაქტები (დეპორტირებული ქართველების ეთნიკური კუთვნილების გამო).

ფაქტია, რომ რუსეთი აღნიშნული ქმედებით, ქართველებზე ნადირობის მახინჯი ფორმით, მკაცრ ანტიქართულ კამპანიას ეწეოდა, რომლის შედეგები მძიმე იყო. პატრიოტი ქართველისთვის ეს ყველაფერი მძიმე ასატანი იყო, აღშფოთებული აფასებდა რა რუსეთ - საქართველოს შორის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს სინანულით აღნიშნავდა, რომ რუსეთ საქართველოს ურთიერთობა ამჟამინდელ დონეზე დაბლა არასოდეს არ დაშვებულა ურთიერთობა - ფსკერზეა. მოსკოვი თავისი ქმედებით, დაჭერისა და დეპორტაციის სანქციონირებით. პოლიტიკურ ველს გასცდა და ადამიანთა უფლებების სფეროში შეიჭრა. ამის გამო რუსეთი მეტად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოსადმი რუსეთის აგრესიულობის ბრალდებებს მოსკოვმა მოუქნელი ქმედებით მეტი განკიცხვის საბაბი მისცა.

ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ ანტიქართული კამპანიის მიზეზი საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკით ოფიციალური რუსეთის ღრმა უკმაყოფილება იყო. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ის ხაზს უსვავდა ხელისუფლების ქმედებით შეშფოთებული მოსკოველი ახალგაზრდების ნაწილის მიერ დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გამოთქმულ პროტესტს, რომელთაც სოლიდარობის ნიშნად, მხარზე გადაკიდებული ჰქონდათ ფართო ლენტი წარწერით „მე ქართველი ვარ!“

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობისას საჭიროა ბ-ნი ვაჟას გამოხმაურების აღნიშვნა ლორიკ მარშანიას წიგნზე, რომელიც ქართულ - აფხაზურ ურთიერთობებს ეხება, ბ-ბ ვაჟას სამართლიანად მიაჩნია ავტორის შეფასება, სადაც იგი ამ ორ ხალხს შორის კონფლიქტს ძმათა მკვლელ ომს ეძახდა და არსებულის გამო, რომ ზღვარგადასული ამბიციებით დაბრმავებულმა რეალობის შეგრძნება დაკარგულმა სეპარატისტებმა აფხაზი ხალხი დაპირებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნაცვლად, განადგურებამდე მიიყვანა, შეწუხებული იყო.

ბ-ნ ვაჟა სწორად აცნობიერებდა რა საქართველოს საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრების აუცილებლობას, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ყურადრებას აქცევდა საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი ჩართულობის საკითხს, ვინაიდან თვლიდა რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით იყო შესაძლებელი. ის ყურადღებას აქცევდა საქართველოს აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო სისტემის ფარგლებში, რომელიც მიმართული იყო მსოფლიოსათვის საქართველოს პოტენციალის ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენისკენ. ის ევროკავშირს განიხილავდა როგორც ინტეგრაციის ახალ ტიპს, რომლის საფუძველი კონსერვატიული იდეოლოგია კი არა, არამედ მისი ვექტორი პროგრესული - განვითარებისკენ მიმართული, საერთო კონსულტაციებზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებაა. ის ევროკავშირის გამოცდილებაზე (გლობალიზაციის კონტექსტში) მსჯელობისას უშუალოდ ეხებოდა ეროვნული სახელმწიფოს ფენომენს, მის მომავალს, კერძოდ, ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ურთიერთობებს, სხვაგვარად რომ ითქვას, ეროვნული ინტერესებისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დამოკიდებულებასა და მათ თანაფარდო-

ბას (ტრადიციული და თანამედროვე გაგებით). აღნიშნული საკითხების წრე მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისათვის, რომელიც, პირველ რიგში, იმით იქნებოდა განპირობებული, თუ რამდენად ეფექტურად ჩაერთვებოდა ის "გაყინული" კონფლიქტების მოწესრიგებაში და რამდენად მიაღწევდა პოზიტიურ შედეგს სამშვიდობო პროცესში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდელობისთვის, როგორც მაშინ ფილოსოფიის მეცნიერებათ დოქტორის, პროფესორ ვაჟა კეშელავას მიერ შესწავლილი პოლიტიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხები - ხელისუფლებაზე, ხელისუფლების განაწილების პრინციპზე, ვარდების რევოლუციაზე, რუსეთ - საქართველოს ურთიერთობზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ევროკავშირზე დღესაც არ კარგავს აქტუალობას, მისი შეხედულებები და დასკვნები დღეს ისევე მნიშვნელოვანი და პროგრესულია როგორც მაშინ.

Manana Darchashvili

Vazha Keshelava on relevant issues in contemporary politics

Summary

Vazha Keshelava's articles, published between 1993 and 2004, focus on actual issues in post-Soviet Georgia: separation of powers, presidential mandates, Rose Revolution, Russian-Georgian relations. etc.